ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 226

"10" ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი №25-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.005.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი №25-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.005.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის №22.716.782 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი №25-ში, პირველ სართულზე მდებარე 73.98 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.12.07.003.005.01.531) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქეების ეთერ გვენცაძისთვის (პ/ნ. 01001007031) ჯაბა გვენცაძისთვის (პ/ნ. 01023011523) თამთა ზარიასთვის (პ/ნ. 62006053032) გუგა გვენცაძისთვის (პ/ნ. 62702016771) ნიკოლოზი გვენცაძისთვის (პ/ნ. 62502020004) და თომა გვენცაძისთვის (პ/ნ. 01550032734) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე